2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით შპს „მთავარი არხის“ დაკვეთით ტარდება საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელსაც ახორციელებს საერთაშორისო კომპანია **IPSOS S.A.** (https://www.ipsos.com/en). **IPSOS S.A.** არის ავტორიტეტული და მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე ორგანიზაცია, რომელიც იცავს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმებს. ამ მიზნით, AAPOR (American Association of Public Opinion Researchers)-ის ეთიკის სტანდარტების დაცვითა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

****

1. კვლევაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანამიმდევრობა;

- *მომდევნო კვირას რომ საპარლამენტო არჩევნები გაიმართოს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას?*
- *მომდევნო კვირას რომ საპარლამენტო არჩევნები გაიმართოს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას? (ალოკაციით მიღებული შედეგები)*
- *შეიცვლება თუ არა ხელისუფლება 2020 წლის არჩევნების შემდეგ?*
- *გინდათ თუ არა, რომ 2020 წლის არჩევნების შედეგად ხელისუფლება შეიცვალოს?*
- *რომელი პარტიები უნდა იყოს აუცილებლად კოალიციურ მთავრობაში? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის არჩევა)*
- *რამდენად კმაყოფილი ხართ დღევანდელი ხელისუფლების მუშაობით?*
- *როგორ შეაფასებდით ბიძინა ივანიშვილის როლს ქართულ პოლიტიკაში?*
- *როგორ შეაფასებდით მიხეილ სააკაშვილის როლს ქართულ პოლიტიკაში?*
- *როგორ შეაფასებდით საქართველოს ხელისუფლების საქმიანობას 2004-2012 წლებში?*
- *როგორ შეაფასებდით საქართველოს ხელისუფლების საქმიანობას 2012-2020 წლებში?*
- *შეადარეთ ბოლო ორი ხელისუფლების საქმიანობა.*
- *როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო?*
- *რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ხელისუფლებამ უნდა მოაგვაროს? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის არჩევა)*
- *მოქმედი ხელისუფლების პირობებში მდგომარეობა გაუმჯობესდა თუ გაუარესდა მომდევნო საკითხებში: ადამიანის უფლებები, მედიის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, ეკონომიკა, განათლება, დემოკრატია, უსაფრთხოება, კორუფცია, კრიმინალი, დასაქმება, პენსიები, ფასების ზრდა, ლარის გაუფასურება, სიღარიბე, ჯანდაცვა, საგარეო პოლიტიკა, ნდობა მთავრობისადმი*
- *როგორი იყო ჯანდაცვის მიმართულებით მიღებული ზომები კორონას პანდემიის პირობებში?*
- *როგორი იყო ეკონომიკის მიმართულებით მიღებული ზომები კორონას პანდემიის პირობებში?*
- *როგორ შეიცვალა თქვენი ეკონომიკური მდგომარეობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში?*
- *რომელი პოლიტიკური ძალა შეძლებს თქვენთვის მნიშვნელოვანი პრობლემების ყველაზე ეფექტიანად მოგვარებას?*

2. საველე კვლევის ჩატარების დრო: 2020 წლის 10-18 სექტემბერი
3. გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი: 1500 რესპონდეტი, სტრატიფიცირებული შემთხვევით შერჩევა, პირისპირ ინტერვიუ
4. რა არეალში ან რა კატეგორიის ადამიანებში ჩატარდა შერჩევა: 18 + ასაკის რესპონდენტები, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, გამოკითხვის ჩატარების ადგილას
5. ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს: დიახ, [Response rate] 65%
6. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც კვლევაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ან არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა:

	რაოდენობა	**%**
1. სახლში არავინ ცხოვრობს	420	
2.არავინ გააღო კარი, არავინ იყო სახლში	130	
3. ადამიანმა, რომელთანაც შედგა კონტაქტი უარი განაცხადა თანამშრომლობაზე	320	

4. შერჩეულ რესპონდენტს არ ჰქონდა ხმის მიცემის უფლება ინტრევიუს ჩატარების გეოგრაფიაში	320	
5. ბოლო დაბადების დღის მიხედვით შერჩეული რესპონდენტი არ იყო სახლში	150	
6. შერჩეულმა რესპონდენტმა უარი თქვა კვლევაში მონაწილეობაზე	140	
7. შერჩეულ რესპონდენტს არ შეეძლო კვლევაში მონაწილეობა (ავად იყო/ და ა.შ)	30	
8. შერჩეული რესპონდენტი ყოველდღე გვიან ბრუნდება სახლში და ინტრევიუს ჩატარება არ არის შესაძლებელი	30	
9. სხვა მიზეზი	20	
10. წარმატებული ინტერვიუ	1500	
ჯამი	**3060**	**65%**

7. შერჩევის ზომა: 1500 დასრულებული ინტერვიუ
8. ცდომილების ფარგლები: +- 2,5%
9. ინფორმაცია ნებისმიერი სხვა ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა კვლევის შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა-